



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბოღი ბუჭე-
უჭი სიფყვას, ცუდილებით და ჭბრებით ბუბ-
თის გაცანა ყულა უჯანსიხბაგე უსამაგლესია.



გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ორშაბათი-სამშაბათი, 1-2 თებერვალი. 2021 წ. №21-22 (9140-9141)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 1 ლარი


დროსთან და აზრთან ჭიდილში

აკადემიკოსი

აკადემიკოსი

გიორგი კვინიტაძე

როინ მატრაველი



საქართველოს მუსიკარება მუსიკარებათა აკადემიის 80 წლისთავზე

ეროვნული აკადემია - თავად დიდი აკადემიკოსი

ჰვირვასო მკითხველო!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველ მეცნიერებს, ადრეც და ახლაც, მაღალი მეცნიერული მიღწევები ჰქონდათ და აქვთ. ქართველ სწავლულთა მიღწევები მსოფლიო მასშტაბითაა აღიარებული... ქვეყანა მუდამ ამაყობდა ქართული სამეცნიერო სკოლებით.

თავისუფალი, დამოუკიდებელი, დასავლური დემოკრატიის გზაზე შემდგარი საქართველოს პოლიტიკას მეცნიერებისა და ახალი ტექნოლოგიების დარგში ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია, ცალკეული კანონები, რომლებიც მიღებულია ზოგადად მეცნიერების განვითარებისა და, კერძოდ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ.

გულდასმით წაიკითხეთ აკადემიკოსების გიორგი კვეციტაძისა და როინ მეტრეველის ნარკვევი და კიდევ ერთხელ დარწმუნდით, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება დღევანდელი მსოფლიოს ახალ გამოწვევებს და მთელი მონდომებით ცდილობს, ნაზიჯი აუწყოს ურთულეს დროს, წარმატებით გადაჭრას აკადემიის წინაშე წამოჭრილი პრობლემები და ღირსეული წვლილი შეიტანოს ქვეყნის მეცნიერული პოტენციალის თანამიმდევრულ ამაღლება-განვითარებაში.

სახელოვანი ტრადიციების შენარჩუნება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა, მეცნიერული ზნეობა და კეთილსინდისიერება, აი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის, აკადემიის თითოეული წევრის სამოქმედო პროგრამა.

და რაც ყველაზე მთავარია:

რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდის დაინტერესება მიცენიარებით!

რაც შეიძლება მეტი ტალანტის აღმოჩენა და „შემოცვანა“ ქართულ მეცნიერებაში!

განათლებული ახალგაზრდობა საქართველოს განვითარების, გადარჩენის და გააღვივების საფუძველია! ევროკავშირისა და ნატოსკენ მიმავალ გზაზეც სწორად განათლებულმა, პრინციპულმა და ეროვნულმა თაობამ უნდა გვინდამაგრდეს...

მთავარი რედაქტორი

№ 6-7 გვ.



ღალატის ანატომია

3 მიწების გაგზავნი

ორი ჭანჭიკი

ღავით იაკობიკა:
ეს ფაქტი სხალად
მეცხველებს
კონსულტანტების
სრულ მოუზა-
ღებლობაზე!

თვა ნულუკიანი:
საზოგადოება უოკშია! 5



სასივიდან ამოყოფილი თავები

4

2000 წლიდან
ღღამღა
ვაქსინებმა
37 მილიონი
გავშვის
სისოცხლა 11
გაღაარჩინა

„უწილხოზი“ – ტორნალო, როგელიც გალაქტიკას ანგრევეს!



ჯეჟალ ჭკუასელი - 85

№ 8 გვ.



საფრანგეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები ისე მჭიდროს, როგორც არასდროს

„ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობები ისეთივე მჭიდროსა, როგორც არასდროს ყოფილა“

ამის შესახებ საფრანგეთის ელჩმა, დიეგო კოლასმა გამოცემა Europetime-თან ინტერვიუში განაცხადა.

„თუნდაც ის ფაქტი, რომ ვაპირებთ აღვნიშნოთ 100 წლის იუბილე იმ დღისა, როდესაც საფრანგეთის მთავრობამ მიიღო საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობა და შესთავაზა მას თავშესაფარი საბჭოთა იმპერიის შეჭრის შემდეგ, ამის ლოგიკური დასტურია.“

ჩვენი ორმხრივი სტრატეგიული დიალოგი ატარებს ცნობილი ქართველი თავადის, დიმიტრი ამილახვარის სახელს, რომელიც არამარტო საქართველოს, არამედ საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ერთ-ერთი უდიდესი

გმირიც იყო. დიალოგის ამ განსაკუთრებული ფორმის შექმნის იდეა ეკუთვნის საფრანგეთის პრეზიდენტს ემანუელ მაკრონსა და საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს (თებერვალი, 2019 წ.), ხოლო ოფიციალურად გახსნეს ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, ჟან-ივ ლე დრიანმა და დავით ზალკალიანმა პარიზში, 2019 წლის დეკემბერში.

დიალოგი მოიცავს როგორც პოლიტიკურ, ასევე თავდაცვის, უსაფრთხოების, მიგრაციისა და შიდა უსაფრთხოების, ეკონომიკისა და ინვესტიციების, განათლებისა და კულტურის საკითხებს. ბევრი რამ, რისი გაკეთებაც დაგეგმეთ ამ ბოლო შეხვედრაზე, უკვე განვახორციელებთ. ასლა ვაპირებთ ახალი შეხვედრის ჩინიშვნას, სადაც ვიმსჯელებთ სამომავლო პროექტებზე, ისევე როგორც არსებული თანამშრომლობის შემდგომ განვითარებაზე“

– აღნიშნავს ფრანგი დიპლომატი.



თურქეთმა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით საქართველომ მატარებელი გაუშვა... რუსეთში

29 იანვარს ანკარიდან ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალით საქართველომ მატარებელი გაემგზავრა რუსეთში. ამ ცნობას ავრცელებენ თურქეთის და აზერბაიჯანის მედიასაშუალებები, თურქეთის ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე დაყრდნობით.

სამინისტროს ცნობით, 15 ვაგონისგან შემდგარი მატარებელი რვა დღეში გაივლის 4650 კილომეტრის სიგრძის მაგისტრალს. 29 იანვარსვე დაიწყო ტვირთის ახალი ტიპის გაგზავნა თურქეთიდან ჩინეთში. მატარებელი გაუშვა შპს ADY Container-მა, რომელიც სააქციო საზოგადოება „აზერბაიჯანის რკინიგზის“ შვილობილი კომპანიაა.

„მატარებელი, რომელიც ანკარიდან ჩინეთის ქალაქ სიანში მიემგზავრება, არის ახალი ლოგისტიკური პროდუქტი, რომელსაც წარმოადგენს შპს „ADY Containe“-ი, თურქეთში, საქართველოსა და ყაზახეთში თავის პარტნიორებთან ერთად“, – ვკითხულობთ ცნობაში.

ეს მატარებელი 42 კონტეინერისგან შედგება და ის 7792 კილომეტრის მანძილს გაივლის. მას გადააქვს არაორგანული ნივთიერებები, რომლებსაც მრეწველობაში იყენებენ. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა აიგო აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე. პროექტი მოიცავს 98 კილომეტრის სიგრძის, ყარსი-ახალქალაქის ახალ მაგისტრალს, რომლის 68 კილომეტრს გადის თურქეთში, 30 – საქართველოში. განხორციელდა ასევე ახალქალაქი-თბილისის მონაკვეთის რეკონსტრუქცია.

„რადიო თავისუფლება“ წერდა, რომ პროექტი, რომლის რეალიზაციისთვისაც საქართველომ 775 მილიონი დოლარის მოცულობის კრედიტი აიღო, ჯერჯერობით ნულეოვანი მომგებიანობის ზონაშია.

2019 წელს რუსეთის, თურქეთის და აზერბაიჯანის რკინიგზების ხელმძღვანელებმა ანკარაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას სააქციო საზოგადოება „რუსეთის რკინიგზის“ მიერ თბილისის შესაძლებლობაზე „ბაქო-თბილისი-ყარსის“ საქართველოს ხელისუფლებას მათში აცხადებდა, რომ რკინიგზა აზერბაიჯანისთვის, საქართველოსთვის და თურქეთისთვის წარმოადგენს სტრატეგიულ პროექტს, რომელთან მიერთებაც ნებისმიერ სხვა წევრს მხოლოდ სამივე ქვეყნის თანხმობით შეუძლია.

30 იანვარს მოსკოვში გაიმართა რუსეთის, სომხეთის და აზერბაიჯანის ვიცე-პრეზიდენტების შეხვედრა. მხარეები ამგვარი მოლაპარაკების ფორმატის შექმნაზე შეთანხმდნენ ჯერ კიდევ 11 იანვარს, პირველ შეხვედრაზე, რომელიც ქვეყნების პირველ პირებს შორის გაიმართა მთიან ყარაბაღში საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ. ფორმატის მონაწილეთა მთავარი ამოცანაა იმის განსაზღვრა, თუ რისი აშენება ან აღდგენა იქნება საჭირო სამიხრივად, რომ რეგიონში სრულად აღდგეს სატრანსპორტო კომუნიკაცია...

არაგზაა გვარამია ჯარს „სილისნაგა“ დაუშინა...

„ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ ვრცელდება მორიგი ცრუ ინფორმაცია, თითქოს, თავდაცვის სამინისტრო არასწორი შესყიდვების პოლიტიკის გამო დროშების გარეშე დარჩენილი“, – ამ განცხადებით თავდაცვის სამინისტრო ტელეკომპანიის ეთერში გასულ სიუჟეტს ეხმაურება.

„აღნიშნული აბსურდული ბრალდება მიზანმიმართული ცილისმწამებლური კამპანიის ნაწილია, რომელიც საზოგადოების შეცდომაში შეყვანასა და მთლიანად თავდაცვის სამინისტროსა და ჯარის დისკრედიტაციის მიზანს ემსახურება.“

„საზოგადოებისთვის განვმარტავთ, რომ თავდაცვის უწყების ყველა ობიექტზე, სადაც ეს განსაზღვრულია, აღმართულია სახელმწიფო დროშები, ხოლო დროშების გადაუდებელი შესყიდვის აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოიწვია ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობაში წარმოდგენილი დროშების მარაგების შევსების გადამწყვეტილებამ და პანდემიით გამოწვეული სავარაუდო შეფერხების თავიდან აცილებამ. უნდა აღინიშნოს, რომ ვერც ერთი პოლიტიკურად ანგაჟირებული და ჩასაფრებული მედიასაშუალება თუ სუბიექტი ვერ აჩვენებს თავდაცვის უწყებაში შესაბამისი წესების განსაზღვრულ ადგილებში სახელმწიფო დროშების პრობლემას, რასაც აღნიშნული, კონკრეტული ფაქტების გარეშე წარმოდგენილი სიუჟეტიც ადასტურებს.“

რაც შეეხება ვერსიას რუსულ ტენდერს, როგორც მოგესვენებათ, მსგავსი ტენდერები ტარდება სრული-



ად ღიად და გამჭვირვალედ, ელექტრონული წესით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ. აღსანიშნავია, რომ სიუჟეტში კიდევ ერთი ტყუილი გავრცელდა, თითქოს, ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ადრე არ შეუსრულებია მსგავსი მომსახურება. სინამდვილეში, მას არაერთი სახელმწიფო უწყებისთვის, მათ შორის, თავდაცვის სამინისტროსთვის გაუწევია ანალოგიური საქონლის მოწოდება.

ამგვარად კი, მიმწოდებლის მიერ შეუსრულებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, გამოიწვია აღნიშნული კომპანიის მფლობელის გარდაცვალებამ და ამის შედეგად, მათთვის საზღვრებზე წარმოშობილმა პროცედურებმა და ლოჯისტიკურმა პრობლემებმა. შესაბამისად, იმისათვის, რომ ახლო მომავალში ზიანი არ მიდგომოდა თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალებს, დაქვემდებარებული სამხედრო ქვედანაყოფების ტერიტორიაზე განთავსებული ლატანებისა და სხვადასხვა სახის დაგეგმილი ღონისძიებების სახელმწიფო დროშებით უზრუნველყოფას, დადგა გადაუდებელი შესყიდვის აუცილებლობა, რაც, კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვიმეორებთ, რომ განპირობებულია მარაგების შევსების მიზნით“, – აღნიშნულია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

ბობენ, რომ მათი პროტესტი მშვიდობიანია და გაგრძელდება. შეგახსენებთ, „ნამახვანჭვის“ ტერიტორიაზე აღმართული ჯვრის შესახებ წყალტუბოს მერიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჯვარი ბაგრატის საკათედრო ტაძარში გადაიტანეს.

მოზარდილი მოსახლეობის 60 პროცენტს თუ ავსრით!

ჩვენი სამიზნე არის, რომ ავცრათ მოზარდილი მოსახლეობა და მოზარდილი მოსახლეობა ქვეყნის მასშტაბით 2,8 მილიონია, მისი 60% – დაახლოებით 1 მილიონ 700 ათასი ადამიანი. თუ ჩვენ მოსახლეობის 60%-ს ავცრით, დარჩენილები იყავით, რომ სერიოზული იმუნური ფენა შეიქმნება ქვეყანაში და კორონავირუსი დამარცხდება, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ გუშინ განაცხადა. მისივე თქმით, ის ადამიანები, ვინც კორონავირუსი უკვე გადაიტანა, პირველი 3 თვის განმავლობაში არ აიცრებიან.



სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 11 საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს

მარტვილის მუნიციპალიტეტში ოთხი საბავშვო ბაღის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. სამეგ-





საპროპაგანდა აპოკრიფი ტავეზი


ასე, ვირო, გაყვასუნა იონჯა მოვა!

იბნო იარაღდება.

მას, როგორც პარლამენტის არჩეულ დეპუტატს, იარაღის ტარების უფლება აქვს. იარაღის შეძენა და რაშია და ბუქ!

დინარე რღვევა და ნგრევა სულ უფრო ღრმავდება და ფართოვდება. ისიც კი ნიშანდობლივია, რომ მთავარი გირჩეული ზურაბ ჯაფარიძე გადაჭრით ემიჯნება იარაღს პროტესტს, ხოლო დამამუქრებელი მელია არასერიოზულად რეაგირებს შეურაცხყოფილი კაცის სამზადისზე.

ქართველში ყველაზე პრიორიტეტული საკითხად მიიჩნევა სამუშაო ადგილებს (გამოკითხულთა 45%), სიღარიბეს (37%), ფასების ზრდას და ინფლაციას (31%), ტერიტორიულ მთლიანობას (22%), ბოლო ადგილზე კი, სხვა საკითხებთან ერთად, „სამართლიანი არჩევნება“ იგი მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხად მიჩნევა გამოკითხულთა 2%-ს. ასევე 2%-ისთვის არის პრიორიტეტული საკითხები: „სამართლიანობის აღდგენა“, „სასამართლო სისტემა“, „სიტყვის თავისუფლება“ და „კორუფცია“.



ოპოზიციაში დამოუკიდებელი აზროვნების ლიდერი არ არსებობს!

ბოიკოტის რეჟიმში ყოფნამ და ექსპრესიონიზმის მიხედვით სააკაშვილის როლმა დაღუპა გაერთიანებული ოპოზიცია. მათ საზოგადოება აღარ ენდობა. ამის შესახებ „2020NEWS“-ის განუცხადა პოლიტოლოგმა და ფსიქოლოგმა რამბაზ საპნბერძენიმ, რომელიც თვლის, რომ ამ ყველაფერს ოპოზიცია ვერც ხვდება. მეტიც, პოლიტოლოგს მიანია, რომ ოპოზიციაში „დამოუკიდებელი აზროვნების“ ლიდერი არ არსებობს.

მეტიც, ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ გაერთიანებულ ოპოზიციაში არ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელიც დამოუკიდებლად აზროვნებს, ამიტომაც საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება იმ ლიდერების გამოსახულებას, რომლებიც „ვერ აზროვნებენ“.

„ნაბეგობა“ არის გასაბეგობი ოპოზიციის, სადაც არის მასკრი დისკილინა, ვინც გაბეგას პარლამენტში უსკლას, მბრისას! სამზაბატის, 2 თებერვალს 51 ოპოზიციონერ დეპუტატს შესაძლოა საპარლამენტო უფლებამოსილება შეუნდეს. სწორედ ხვალ არის რიგგარეშე სესია, სადაც გადწყვეტილებას კენჭს უყრით. ანალიტიკური და პოლიტიკური წრეებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ თარიღის მოახლოებასთან ერთად, ოპოზიციის ნანძვის მკვთარი პოზიცია და განცხადებები შერბილდა და კონკრეტულ პოლიტიკოსებს მანდატები არ ეთმობათ.

საქართველოში განათლებასა და მეცნიერებას უძველესი დროიდან დიდი ტრადიცია აქვს. ერთი მხრივ, მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის, მეორე მხრივ, კოლხური კულტურული მემკვიდრეობა, ჰქმნიდა საქართველოს თვითმყოფადი კულტურის, შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების განვითარების საფუძველს. მცხეთა, სეფსამორა, უფლისციხე, ურბნისი, ძალისა, ვანი, ცხე-გოჯი (ბერძენები მას არქეოპოლისად მოიხსენიებენ) – აი, ის ქალაქები, სადაც ადრინდელი ქართული კულტურა ყალიბდებოდა.

XI საუკუნის შემდეგ ლეონტი მროველი ქართული დამწერლობის შექმნას ძვ.წ. IV-III საუკუნეებში გულისხმობს და მის შემქმნელად ივერიის მეფე ფარნავაზი მიიჩნევა.

წინაქრისტიანულ საქართველოში გავრცელებული იყო ბერძნული და არამეული დამწერლობა. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ ე.წ. არმაზის ბილინგვა, რომელიც ორ ენაზეა შესრულებული. ქართული დამწერლობის აღმავლობას ქრისტიანობის გავრცელებამ შეუწყო ხელი.

ქართული დამწერლობის უძველესი ძეგლები V საუკუნიდან მოგვეპოვება. ესენია: პალესტინაში ქართული მონასტრის იატაკზე შემორჩენილი წარწერა (430 წ.), რომელიც იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ აღმოაჩინა, ბოლნისის სიონის წარწერა (493-494 წწ.), ურბნისის სიონისა (V ს.) და ნიქოზის ეკლესიის წარწერები, მცხეთის ჯვრის წარწერა (VI-VII სს.).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია V საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი ლიტურჯული-აგიოგრაფიული თხზულება იაკობ ხუცესისა – „შუშანის წამება“ VI საუკუნეში – უცნობი ავტორის „ეფესტატე მცხეთელის წამება“, VIII საუკუნეში იოანე



ლობის) სამი სახე: მრგლოვანი, ნუსხური და ხუცური.

განათლებისა და მეცნიერების კერები ქართული ეკლესია-მონასტრები იყო.

იმ პერიოდის მნიშვნელოვან ცენტრებს წარმოადგენდა ხანძთა, ზარზმა, შატბერდი, იშხანი, ოშკი. აქ ბევრი ქართველი მწიგნობარი მოღვაწეობდა. ქართული კულტურის კერები მრავლად იყო საზღვარგარეთაც. გამოირჩეოდა ათონის მონასტერი, რომელიც X საუკუნეში იოანე მთაწმინდელმა დააარსა. აქ მოღვაწეობდნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. XI საუკუნის დასასრულს გრიგოლ ბაკურიანის ძემ დააარსა პეტრიწონის მონასტერი (ბულგარეთი, ბაჩკოვო). ორი ათეული წლის განმავლობაში პეტრიწონის მონასტრის განმავლობაში სწორედ ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. მნიშვნელოვანი იყო შავი მთის (სირია) ქართული მონასტერი, სადაც მოღვაწეობდა ფილოსოფოსი და მთარგმნელი ეფრემ მცირე. დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი (ექვთიმე მთაწმინდელი). ანტიოქი-

რინონის მონასტერში, როგორც ზამთრის ალვიონში, ფართო მასშტაბის მიმდინარეობდა ფილოსოფიური მოღვაწეობა ენოლოგია. მოწვეულ იქნა ქართველი სასულიერო მოღვაწე, ფილოსოფოსი, მწერალი, ჰიმნოგრაფი არსენ იხალთოელი. მასთან ერთად შავი მთიდან ჩამოვიდნენ თეოფილე ხუცესმონაზონი და იოანე ბარბისძე.

გელათის აკადემიამ რამდენიმე საუკუნე იარსება. ისწავლებოდა მეცნიერების შვიდი ძირითადი დარგი: არითმეტიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, რიტორიკა, გეომეტრია, მუსიკა და ასტრონომია. ამ საგნების წაკითხვა აუცილებელი იყო, რომ უნივერსიტეტს (აკადემიას) თავისი სტატუსი შეენარჩუნებინა (ეს შვიდი საგანი დღესაც აუცილებელი პირობაა უნივერსიტეტების არსებობისათვის).

XVI საუკუნის შემდეგ გელათის აკადემიამ შეწყვიტა არსებობა. ისტორიამ შემოგვინახა, გარდა იოანე პეტრიწისა, ოთხი მოძღვართომოდვრის, გელათის აკადემიის რექტორების – ანტონის (XIII ს.), საბას (XIV

გიორგი კვანთაძე,

აკადემიკოსი

როინ ვებრევილი,

აკადემიკოსი

ეროვნული აკადემია – თავად დიდი აკადემიკოსი



გელათი

საბანისძის „აბო თბილელის წამება“. ამ პერიოდში გადაითარგმნა „სახარება“.

საქართველოში განათლებისა და მეცნიერების წყობარითად დიდ ტრადიციას მრავალი გარემოება მეტყველებს. თექვსმეტი საუკუნის წინ საბერძნეთში სიამაყით აცხადებდნენ: მე განათლება კოლხეთში მივიღეო. დიხს, კოლხეთის ანუ ფაზის რიტორიკული სკოლა (აკადემია) განათლების მნიშვნელოვანი ცენტრი იყო, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები სწავლობდნენ. სწორედ აქ მიუღიათ განათლება ბერძენ მოღვაწეებს – ევგენიოსსა და თემესტიოსს და შემომოყვანილი სიტყვებიც ერთ-ერთ მათგანს ეკუთვნის.

სწავლა-განათლება და მეცნიერება საქართველოში ქრისტიანული იდეოლოგიაზე იყო დაფუძნებული. დიდი ყურადღება ექცეოდა ფილოსოფიასა და რიტორიკას. სწორედ ამის დასტურია, რომ ქ. ფაზისის მახლობლად არსებობდა ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა (IV ს.).

IV საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა უფლისწული ბაკური, რომელიც თხუთმეტი წელი აღმოსავლეთ ევროპაში განაგრძობდა შრომას. ქართული ფილოსოფიური აზროვნების უდიდესი წარმომადგენელია პეტრე იბერი (411-491 წწ.). მან კონსტანტინოპოლში მიიღო უაღრესად მაღალი ფილოსოფიური განათლება და აღიარებული იქნა მსოფლიო ფილოსოფიის ღრმა მცოდნედ. იუდას უდაბნოში ააგო ქართული მონასტერი. აქ შეიქმნა სკოლა, სადაც ქართველები მეცნიერებას

უფლებდნენ. პეტრე იბერს მონასტერი აუგია თებეს მეტროპოლიაში (ევგვიპტის უდაბნო).

ქართველი ხალხის კულტურულ-სარწმუნოებრივი გაერთიანების შედეგად, XI საუკუნის დასაწყისში ძველმა პოლიტიკურად გაერთიანებამ განაგრძო ქართული ენის მნიშვნელობა, იგი სახელმწიფოებრივი და სამოქალაქო ურთიერთობის ენად იქცა. X საუკუნეში დაიწერა იოანე ზოსიმოსის „ძეგა და დიდება ქართული ენისა“.

ამ პერიოდში იქმნება ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ და გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. მაღალ დონეს მიაღწია სასულიერო პოეზიამ – ჰიმნოგრაფიამ. მიქაელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი, იოანე მტბევაზი, იოანე ზოსიმე – აი არასრული სია ქართველი ჰიმნოგრაფებისა. განვითარდა ფილოსოფიის დარგი, ითარგმნებოდა უცხოური ფილოსოფიური შრომები. იქმნებოდა ორიგინალური ფილოსოფიური მასალა. საინტერესოა, რომ ამ პერიოდში შექმნილი უცნობი ავტორის მიერ „სიბრძნე ბალავრისა“, რომელიც XI საუკუნეში ბერძნულად ითარგმნა (ექვთიმე მთაწმინდელი). ბერძნულიდან ლათინურადაც ითარგმნა და მთელს ევროპაში გავრცელდა. IX-XI საუკუნეებში დაწინაურდა ქართული საისტორიო მწერლობა. ჩამოყალიბდა ქართული ანბანის (დამწერ-

საქართველოს მეცნიერება მეცნიერებათა აკადემიის 80 წლისთავზე

ის მახლობლად ბევრი ქართული ეკლესია-მონასტერი იყო, რომლებიც მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ.

ზოგადად განათლებისა და, კერძოდ უმაღლესი განათლების ახალ ეტაპს წარმოადგენს XII საუკუნის ათიანი წლები, როცა საქართველოში არაერთი აკადემია (უნივერსიტეტი) შეიქმნა. გამორჩეული ადგილი გელათს უკავია.

ღრმად განსწავლული, ბრძანი ფილოსოფოსი IV ალფონსეზის მცდელობით გალათი მაღალი დონის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად გადაიქცა. საქართველოს მეფე შამიკარი იმდროინდელი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ ცნობილი მეცნიერები, რომელთაც მაღალ განათლებასთან ერთად ახასიათებდათ „სინფიდო, სიკეთე, სისრული, სულიერითა და სოციალური საბუნებისა და სოციალური აკადემიის რამდენიმე მოწვევის იოანე პეტრიწი, რომელიც პეტ-

ს.), ილარიონის (XVI ს-ის ათიანი წლები), და მანასეს (XVI საუკუნის 20-იანი წლები) სახელები.

XII საუკუნის საქართველოში აკადემია აგრეთვე იყო იყალთოში, რომელიც თავისი დონით სახელგანთქმული იყო. გადმოცემით აკადემია ყოფილა გრემშიც. ქართველი მეფე საზღვარგარეთის სავაწიფებსაც დიდ ყურადღებას უთმობდა.

ამ პერიოდში განსაკუთრებით განვითარდა ქართული ლიტერატურა: შეიქმნა მოსა სონეის „ამირან-დარეჯანიანი“, ჩახრუხაის „თამარიანი“, იოანე შავთელის „აბდუმეისიანი“. ლიტერატურულ-კულტურული შემოქმედების მწვერვალია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. აქვე უნდა ავღნიშნოთ ორიგინალური ქართული მწერლობის ერთ-ერთი ორგანული შანრი – ჰიმნოგრაფია, რომლის განვითარებას დიდი აზრი დასდეს დავით IV ალფონსეზისა და დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“. დღემდე პოპულარულია დავით I-ის ავტორებით შემოქმდილი საბალაოები „შენ ხარ ვენახი“.

XII-XIII სს-ში მაღალ დონეზე იყო განვითარებული ფილოსოფია, სამართლის-მცოდნეობა, ისტორია. ამ პერიოდში შეიქმნა ისტორიულ თხზულებათა კრებული „ქართლის ცხოვრება“ (საქართველოს ისტორია). XII-XIII საუკუნეებში მეცნიერებაში აშკარად ჩანს ჰუმანიტური იდეების პრიმატი. აშკარად ჩანს, რომ საქართველოში დაწყებული რენესანსის პროცესი (ნიშანდობლივია, რომ ამ პროცესმა დროში უწინარა დასავლეთევეროპულს).

საქართველოს ისტორიული სირთულეებისა და ძნელბედობის გამო იყო პერიოდები, როცა სხვა პრობლემებთან ერთად, განათლება და მეცნიერებაც მნიშვნელოვან კრიზისს განიცდიდა. საქართველოსთვის მოიცალა ათასი ჯურის გადამთიელება და ეს პატარა ქვეყანა მწარედ განიცდიდა თურქ-სელჩუკებისა და მონღოლების, ხვარაზმელებისა და სპარსელების, ოსმალებისა და სხვათა შემოსევებს. საქართველო ჰქონდათ ამოღებუ-



პეტრე იბერი



„ერისიონს“ ახლა მისი უშიშროები ეკა და შერამანდი ჭკუასელები ხელმძღვანელობენ, საპროდუქციო ფაბრიკაშია.

როცა ჯერ კვლავ უსმენ და აფასებ როგორც მომღერალს, გრძობ, რომ ბატონი ჯერ კვლავ თავის თავში ატარებს ცოცხალ, ზეპირი გზით თაობიდან თაობაზე გადაცემულ, უნიკალურ სასიმღერო ტრადიციას, რომელსაც ნოტიდან გერასოდეს ისწავლი, ის ვერ იქნება დიდი მომღერლების შესრულების მსგავსი პირველქმნილი სურნელით გაჟღერებული.

ბია ბალაშვილი

„პროფესიონალიზმის მნიშვნელობა ყველამ ვიცით, შენი საქმის კარგად ცოდნა, სხვას აჯობებ, შენ თავსაც უნდა აჯობო ხანდახან, მამაჩემს ხუთიანი ეწერა ამაში – რო იყო, კონცერტი ჰქონდათ, სიმონიშვილთან მღეროდა, გამართული დადიოდა ეგოში, ემზადებოდა. დედაჩემი მეტყობდა: შეხედე, ნახე, როგორ დადის, გამოსვლა აქვს მაგვენს – გამოსვლა... მთელი ერთი კვირა ემზადებოდა იმისთვის, გამართული დადიოდა, იყო მაგარი პროფესიონალი...“

ეს შეფასება ბატონ ჯემალ ჭკუასელის მოგონებებითაა წიგნში ამოვიკითხე, რომელიც 2019 წელს გამოსცა. ეს და კიდევ ათასი რამ, შეგიძლიათ, ამოვიკითხოთ გამოჩენილი ხელოვანის ცხოვრებიდან, თბილისი, ცრემლიანი, საამაყო, დაუჯერებელი, ჩვეული გურული იუმორით გაზავებული, მაგრამ დამაფიქრებელი და სევდიანი. კითხულობ და ყელში ბურთი გეჩხინება, ცრემლად გინდა დაიღვარო მშობლებზე დაწერილ თბილისიტყვებზე. მაშინაც ცრემლად იღვრები, როდესაც ქართველი კაცის იმ მიღწევებს ეცნობი, რაც იშვიათად რეგია მსოფლიო დონის ხელოვანთ, ეს უკვე სიამაყის ცრემლებია.

ახალი წლის დღეებში შევხვდი დიდ ხელოვანს, ჯანმრთელობას უჩივის, მაგრამ არ დაუკარგავს იუმორის გრძობა, თავის თავსაც რომ ესარკავებო, ჩაიღიმებს და აგრძელებს – აქ წერია ყველაფერი – მაწვდის რამდენიმე წლის წინ გამოცემულ თავის წიგნს, რომელიც მიზნობრივად იშვიათობად ქვეყლა. სამაგიეროდ მისაჩუქრებს ალბომს, მართლაც მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსულს – „ჯემალ ჭკუასელი – 85“.

შარშან 85 წლისა შესრულდა ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელი. „ქართული ლეგენდის“ თავკაცი, თავდაც ლეგენდარული პიროვნება. ეს საიუმბილეო წელი მთელ მსოფლიოს უნდა აღნიშნა, რომ არა პანდემია, ჯერ არ დაუმარცხებელი მსოფლიო ჭირი. მთელ მსოფლიოს უნდა აღენიშნა, იმ მსოფლიოს, რომლის მილიონობით ადამიანს ფეხზე წამოშვებო, ხანგრძლივი ტაძრით მადლობას უხდოდა ამ მართლაც ქართული ლეგენდის წარმოჩენისთვის...

დიდი შერამანდი ჭკუასელივით, რომელიც კონცერტის წინ გამართული დადიოდა დღეების განმავლობაში, რათა

ტორნადო, როგორც ბალახტიკას ანბრავს!



2002 წელს პარიზში ლეგენდარულ ანსამბლს „ომროს დისკო“ გადაეცა.

თავის მსმენელს პირნათლად წარსდგომოდა და კიდევ ერთხელ მოეხუხა თავისი უნიკალური ხმით, მეც იმგვარად მომიჩნა ფორიაქი... რამდენიმე დღე „ერისიონით“ ვცხოვრობდი, ბატონ ჯემალთან შეხვედრა მედგა თვალწინ და ათას ვარიანტს ვადგენდი, როგორ მოვეფრებოდი „ქართული ლეგენდის“ შემქმნელს, რომლის შესახებაც არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში ამოწურავად იცინა ყველაფერი, თავყანს სცემენ და ფოლკლორული ხელოვნების მეტრად მიაჩნიათ.

ჩემი მეგობრის შვილი გამახსენდა, რომელიც საფრანგეთში დაიბადა და გაიზარდა. რამდენიმე ევროპული ენა შეისწავლა სკოლაში და მშობლიური ქართული ვერა – როგორც თავად თქვა, იმდენად მოწინავე იყო წინაპართა ენის მიმართ, რომ მცირეოდენ შეცდომასაც ვერ აპატიებდა თავის თავს და ყვოველთვის მომავლისთვის გადადებდა ხოლმე, ფრანგულ გარემოებაში გაზრდილი. მოხდა სასწაული, როდესაც „ერისიონმა“ საფრანგეთში არნახული ფურორი მოახდინა და ქართველების გამოსვლას მსოფლიო პრესა აღტაცებით გამოეხმაურა, როდესაც „მატილის ასულოს“ კლიპს საფრანგეთის ტელევიზია დღეში ოთხჯერ უჩვენებდა, პარიზის წამყვან ასამდე კინოთეატრებში კი თვენახევრის განმავლობაში ამ საოცარი ნამუშევრის ნახვა მილიონობით ადამიანს შეეძლო და ქალაქის ქუჩებშიც რამდენიმე ათასი ადამიანი გამოვიდა, პატარა მიჭი ქართულად ამეტყველდა. ამოხეთქა გენმა და ქართველობამ. „ამაყად დავდიოდი ქალაქში, რადგან ყველა ჩემმა მეგობარმა გაიგო, რომ იმ ქვეყნიდან იყვნენ ჩემი წინაპრები, სადაც ამგვარ ხელოვნებას ნებისმიერი ქართველი აკვირდებოდა არის ნაზიარებო“. ამ სასწაულის სულისჩამდგმელი ბატონი ჯემალი გახლავთ.

სათაყუბთაან
მამა: – ესწავლობდი სოფელ შემოქმედში. მეშვიდე კლასამდე ფრიადოსანი ვიყავი, აი, მერვედი კი ყველაფერი თავდაყირა დადგა. ამის მიზეზი ერთი ლამაზი გოგონა გახლდათ, რომელიც თავდავიწყებით შემეყვარდა. ჩემს საკლასო უუნალობაში ორიანების მომრავლებამ მაშინ დაიწყო – ყველა საგანში ორიანი მყავდა. ერთადერთი ფრიადი სიმღერაში მქონდა. მამაჩემი მკაცრი აღმზრდელი იყო. სკოლაშიც იყო, თუმცა მევერი ყოყმანის შემდეგ მაინც გადაწყდა, მიეწეათ იგი... სკოლის დირექტორმა ქეთევან ჭანუყვაძემ მორიდებით გადაუშალა მამას საკლასო უუნალობა, თანაც შუაში ჩადგა, მამაჩემი არ შემოაკვდესო. მამაჩემმა ყურადღებით გადაათვალიერა ჩემი „წარმატებების“ ამსახველი ორიანების რიგი და იკითხა: – ბოლოში ხუთიანი რაში აქვს?

შენს ქმართან და სასურველი იქნები მუდამ. რიყის ქვაც რომ მოგიტანოს საჩუქრად, არ უნდა დაიწყო. ქალბატონი გიული ჭკუასელი მაშინ მე-9 კლასის მოსწავლე იყო, ხელოვანი, შესანიშნავი მოცეკვავე, ბატონი ჯემალი 22 წლის გახლდათ. შეუღლდნენ... რომანტიკული სიყვარული ახლაც გრძელდება სამ შვილთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან. იმავე ოროთახიან ბინაში ცხოვრობენ, სპორტის სასახლის მშენებლობაში მუშად მოწყობილმა ჯემალ ჭკუასელმა დამსახურებით რომ მიიღო... თბილისი ბუდე... სიყვარულით გატარებული 64 წელი. „ერისიონს“ ახლა მისი შვილები ეკა და შერამანდი ჭკუასელები ხელმძღვანელობენ, საკმაოდ წარმატებითაც.

„ერისიონი“ – ქართული ფოლკლორული ანსამბლის შექმნის იდეა დიდ ეროვნულ მოღვაწეს ლადო აღნიაშვილს ეკუთვნის. დიდი ილიას მხარდაჭერითა და მუდამ.

„ქართული ლეგენდის“ ლეგენდარული ხელმძღვანელი
ცადინეობით, ჩემი იოსებ რატილის ხელმძღვანელობით 1886 წელს პირველი კონცერტიც ჩატარდა. სამი წლის შემდეგ ანსამბლს მოცეკვავეებიც შეუერთდნენ. სწორედ საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ამ სამი ადამიანის იდეით, შრომითა და სიყვარულით შექმნილ ანსამბლს ჩაუდგა სათავეები თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ ჯემალ ჭკუასელი. დიახ, იგი 1986 წელს საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელია (1990 წლის მაისიდან ანსამბლს აკადემიურის წოდება მიენიჭა). მანამდე, 1979 წელს ჯემალ ჭკუასელმა დააარსა ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, სადაც ქართველთაგან რევამ განიშვილი მიიწვია. 7 წელი თავდაუზოგავი შრომის შემდეგ ანსამბლი ერთ-ერთი პოპულარული გახდა და მაღალმემოქმედებით დონეზე ავიდა. „ერისიონის“ ოქროს ხანა ჯემალ ჭკუასელისა და რევამ ჭოხონელიძის ტანდემით დაიწყო, ხოლო „ერისიონი“, ანუ „სუმიერი, მთის თავს ვევიო“, ანსამბლს ლეგენდარული წარმატების რჩევით უწოდეს 1999 წელს. სწორედ ამ წლიდან, თითქმის რვა წლის განმავლობაში, ამერიკელი პროდიუსერის ჯონ ლიოს დამსახურებით და ხელის შეწყობით „ერისიონმა“ მართლაც ტორნადოსავით გადაუქროლა დედამიწას „ქართული ლეგენდითა“ და „ქართული ქარიშხლით“.



სიყვარულით გატარებული 64 წელი

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები: რამაზ თაყაიანი, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ზორბო მთვალისძე, ივიკო საყვარელიძე, გიგა მახარაძე, გიგა მახარაძე, თამაზ ყაჭვიანი, გიგა რამიშვილი, გიგა მახარაძე, თამაზ ცაავა, ვალერი ვარდოსანიძე, თამაზ ბოგინაშვილი, ჯუმბარ ბონაშვილი, რამაზ არველიანი და ასლო მეგობრები: ოთარ მელქაძე, ძიკა ცაიტიშვილი, ლეო ნინუა, ჯემალ კატილაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაცვალება ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი მამულიშვილი, დამსახურებული მშენებელი, ერთ-ერთი მსხვილი სამშენებლო ტრესტის მმართველი



როლანდ (იოსკა) იოსელიანი

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს და ახლობლებს. დაკრძალვა 2 თებერვალს 15:00 სთ. გამოსვენება ფერისცვალების ეკლესიიდან (დედათა მონასტერი).

რამაზ კუტუბიძე



უახლოესი მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაცვალება ცნობილი მეცნიერი, უბადლო დასტაქარი, ბავშვთა ქირურგიის მრავალი თაობის აღმზრდელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი

რამაზ ავთანდილის ძე კუტუბიძე

და სამძიმარს უცხადებთ მის ოჯახს. ანტონ კაკელიძე, რამაზ ხეცურიანი, ალექო ციხაძე, ნოდარ ემუხვარი, გიორგი ავალიშვილი, რომან მახარაძე, ზაურ ფხალაძე, ნოდარ ლომიძე.

აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კლინიკის ლეანლმოსილ ექიმ-გენეტიკოსს მარინა დელაქიშვილს გარდაცვალება მეუღლე, ცნობილი ქართველი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რამაზ კუტუბიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს რკინიგზის ლეანლმოსილი მუშაკი

პერა გლუნიაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჟორდანის ინსტიტუტი მწუხარებით იუწყება თანამშრომლის

მამუკა ჯანგაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ლემონჯავების საგვარეულო იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების ცნობილი წევრი, გეოგრაფიული საზოგადოების ცნობილი პიროვნება, მრავალი ახალგაზრდის აღმზრდელი

არველოდი კონსტანტინეძე ლეონჯავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ამერიკელ კონგრესმენს ვაქსინაციის შედეგ კორონა აღმოაჩინა!

ამერიკის შეერთებული შტატის მასაჩუსეტის კონგრესმენს სტივენ ლინჩს კორონავირუსი დაუდასტურდა. მისი პრეს-სპიკერის განცხადებით, დემოკრატი კონგრესმენი ჯერ კიდევ ამერიკის ახალი პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ინაუგურაციამდე აიცრა „ფაიზერის“ კომპანიის ვაქცინით. თუმცა, როგორც ჩანს ვაქცინაციამ მაინც ვერ უშველა. პრეს-სამსახურის ცნობით, კონგრესმენი თავს კარგად გრძნობს და მუშაობას დისტანციურ რეჟიმში აგრძელებს. ექიმების თქმით უკვე არა ერთი შემთხვევა დადასტურდა, როცა აცრილ ადამიანს კორონავირუსი მაინც დაუდგინდა.

მომამზადა რუსუდან ქოჯულიაძე

ვაქსინაციის მონაწილეობით გასაგონად!

ვაქცინაციის მედიცინის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა, რომელმაც მილიონობით სიცოცხლე გადაარჩინა. როგორც ახალი მოდელირება აჩვენებს, 21-ე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, 10 ძირითად დაავადებაზე იმუნიზაციამ 37 მილიონ ადამიანს ააცილა თავიდან სიკვდილი ას საშუალო და დაბალ შემოსავლიან ქვეყანაში. 2030 წლისთვის ეს რაოდენობა შეიძლება გაორმაგდეს და გადარჩენილ სიცოცხლეთა უმეტესობა პატარა ბავშვი იქნება გარკვეულ ვაქცინებზე წვდომის გარეშე, რომლებიც ადამიანებს ისეთი დაავადებებისგან იცავს, როგორებიც არის ნითელა, როტავირუსი, ადამიანის პაპილომავირუსი და B ჰეპატიტი; მკვლევართა განცხადებით, 2019 წელს დაბადებულ ბავშვებს (98 დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყანაში), რომლებიც ვაქცინირებული არ არიან, 45 პროცენტით მაღალი შანსი აქვთ, რომ სუთი წლის ასაკამდე მიულწევლად დაიღუპონ.

2000 წლიდან დღემდე ვაქსინებმა 37 მილიონი ბავშვის სიცოცხლე გადაარჩინა

არ გააჩნიათ სრული ან შესაფერისი მონაცემები დაავადებებით დატვირთვისა და სიკვდილიანობის შესახებ. შესაბამისად, ახალი შეფასება საკმაოდ ღირებულია და წარმოადგენს ამ მიმართულებით ამ დრომდე ჩატარებულ უდიდეს კვლევას.



სრულწლოვან ასაკშიც ვაქცინირებული და არავაქცინირებულებს შორის სხვაობა ძალიან დიდია. ახალი მოდელირება აჩვენებს, რომ 2019 წელს ასეთ ქვეყნებში დაბადებულ ბავშვებში სიკვდილიანობა 72 პროცენტით უფრო დაბალი იქნება, თუ მათ მოდელირებაში შეტანილ ათ დაავადებაზე ჩაუტარებენ ვაქცინაციას.

ჩვენი კვლევა მიანიშნებს ჯანმრთელობის იმ უზარმაზარ ბენეფიტზე, რომლის მიღწევაც დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში ვაქცინაციის პროგრამებით არის შესაძლებელი, — ამბობს ლონდონის საიმპერატორო კოლეჯის ეპიდემიოლოგი ნილ ფარბუსონი. მისივე თქმით, 98 ქვეყნის მაგალითზე მოდელის 2030 წლამდე პროექტირებისას, წარმოჩინდა გარკვეული ცნობები, თუ სად უნდა მიიმართოს ინვესტირება ვაქცინაციაში, რათა კიდევ უფრო მეტი სარგებელი მიიღწეს. ვაქცინაციის მიერ გადარჩენილ სიცოცხლეთა რაოდენობის დადგენა რთული და არასრულყოფილია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გაანგარიშებები არაფრად ღირს...

რომელმაც მხედველობაში მიიღო ვაქცინაცია B ჰეპატიტის ვირუსის, B ტიპის ჰემოფილური გრიპის (Haemophilus influenzae), ადამიანის პაპილომავირუსის, იაპონური ენცეფალიტის, ნითელას, A სეროგუფის მენინგოკოკის (Neisseria meningitidis), პნევმოკოკის (Streptococcus pneumoniae), როტავირუსის, ნითურასა და ყვითელი ცხელების წინააღმდეგ. მკვლევართა თექვსმეტმა დამოუკიდებელმა ჯგუფმა თითოეულ პათოგენს მრავალი მოდელი მოარგო. კვლევამ დაადასტურა, რომ 2000-2030 წლებს შორის დაბადებულთა სიცოცხლის განმავლობაში, ვაქცინაცია მოახერხებს 120 მილიონი ადამიანის სიკვდილის თავიდან აცილებას, საიდანაც 96 მილიონს ნითელასა და ჰეპატიტის ვაქცინა გადაარჩენს. შედეგები დიდწილად ეთანხმება წინა შეფასებას, რომელმაც დაადასტურა,

რომ 2001 წლიდან დღემდე, მსოფლიოს 73 ყველაზე ღარიბ ქვეყანაში ვაქცინებმა დაახლოებით 20 მილიონი ბავშვის სიცოცხლე გადაარჩინა. ცოტა ხნის წინ დადგინდა ისიც, რომ მხოლოდ ნითელას ვაქცინამ, 2001 წლიდან დღემდე მსოფლიოში თავიდან აგვაცილა 20 მილიონი ადამიანის სიკვდილი. „იმის შეფასებით, რამდენად მაღალი იქნება სიკვდილიანობის დონე ვაქცინაციის პროგრამების გარეშე, ჩვენმა კვლევამ წარმოაჩინა, რამდენად გადაამწყვეტია ვაქცინაციის მაღალი დაფარვის შენარჩუნება“, — ამბობს ლონდონის საიმპერატორო კოლეჯის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მკვლევარი კეტი გეიტორვი.


სტატუს-კვოს შენარჩუნება სურათის მხოლოდ ნაწილია. საკვანძო პრიორიტეტია ვაქცინაციით დაფარვის ზრდაც, განსაკუთრებით გარკვეულ ახალ ვაქცინათა შემთხვევაში. მაგალითად, თუ ადამიანის პაპილომავირუსის წინააღმდეგ ვაქცინაცია საკმარის ხალხს ჩაუტარდება, ექსპერტები ფიქრობენ, რომ საშვილოსნოს ყელის კიბო საუკუნის ბოლოსთვის შეიძლება სრულიად ამოიძირკვოს დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში. უფრო მეტიც, ახალი მოდელის პროგნოზით, გოგონებში ადამიანის პაპილომავირუსზე ვაქცინაციის დაფარვის ზრდა უფრო მეტ სიცოცხლეს გადაარჩენს ყოველ ვაქცინირებულ პირზე, ვიდრე იმუნიზაციის სხვა პროგრამები.

კვლევის ფარგლებში დადგინდა ისიც, რომ ძლიერ ეფექტიანია პნევმოკოკის გარკვეული ფორმების პრევენციის მიზნით ვაქცინაცია, რომლის სარგებლის გაზრდაც ღარიბ ქვეყნებში უფრო მეტად არის შესაძლებელი. PCV-ის სახელით ცნობილ ამ ვაქცინებს უდიდესი გავლენა აქვს სუთი წლამდე ასაკის ბავშვებში სიკვდილიანობის პრევენციაზე. ეჭვგარეშეა, რომ ამ მოდელირებით მიღებული შეფასებები დაავადებების მიმართ ჩვენთვის აღქმისა და ვაქცინაციის პროგრამების გაუმჯობესებასთან ერთად შეიცვლება, მაგრამ ამ კვლევის ფართო მასშტაბი მუშაობისათვის საჭირო შესანიშნავ საფუძველს გვაძლევს. ვაქცინაციის პროგრამები აშკარად მუშაობს. ახლა მხოლოდ ის არის საჭირო, რომ მასზე წვდომა ყველას ჰქონდეს.

კვლევა ჟურნალ The Lancet-ში გამოქვეყნდა. მომზადებულია scimex.org-ისა და ScienceAlert-ის მიხედვით. **მიხეილ ჭავჭავაძე**

ზურაბ ცხიტიუვილი - 80

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ზურაბ მიხეილის ძე ცხიტიუვილი** იუბილარია, ცნობილი სპორტსმენი, მეწარმე, პარლამენტის ორი მოწვევის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე. **ზურაბი** დღესაც ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, რაც უკავშირდება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკის შეფასების მეცნიერულ ასპექტებს.



ფართო დიპლომატიის დირექტორი **მამულიაშვილი**, დიდი ოჯახის სამაგალითო თავგაბა გულითადად გულოცავ სასახელთ თარიღს და გუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

თინათინა ქავთარაძე

ულოცავენ!..

ვეტერანი მოფარიკავეები დაბადების 80 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავენ გამოჩენილ მეწარმეს, მეცნიერს, ცნობილ ვეტერან მოფარიკავეს, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს და პარლამენტის ყოფილ წევრს, აკადემიკოს

ზურაბ ცხიტიუვილი

ტინათინა ნობელის პრემიაზე ნარკობინას



ლიეტუვის პრეზიდენტმა გიტანას ნუსადამ ბელარუსის ოპოზიციის ლიდერი სვეტლანა ტინათინა ნობელის პრემიაზე წარადგინა. გასული წლის დეკემბერში სვეტლანა ტინათინას ბრიუსელში, ევროპარლამენტის პლენარულ სხდომაზე სახაროვის სახელობის პრემია „აზრის თავისუფლებისთვის“ გადასცეს. გამოცემის ინფორმაციით, ბელარუსის პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატს ჯილდო ევროპარლამენტის თავმჯდომარემ დავიდ სასოლიმ გადასცა.


იქამდე კი, 2020 წლის სექტემბერში ლიეტუვის პარლამენტმა რეზოლუცია მიიღო, რომელშიც სვეტლანა ტინათინას ბელარუსის არჩეულ პრეზიდენტად მოიხსენიებენ.

სვეტლანა ტინათინა ან სვიატლანა ტინათინა ბელარუსი ადამიანის უფლებათა დამცველი და პოლიტიკოსია. 2020 წელს ტინათინა იყო ოპოზიციის კანდიდატი ბელარუსის საპრეზიდენტო არჩევნებში. ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატი სვეტლანა მისი მეუღლის, სერგეი ტინათინის დაპატიმრების შემდეგ გახდა. 2020 წლის 11 აგვისტოს ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინას ლინკევიჩუსმა გაავრცელა ინფორმაცია ტინათინას ლიტვაში ყოფნის შესახებ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ბელარუსმა ძალად შეიჭრა ტინათინას ვიდეოს ჩანერა და ქვეყნის დატოვება აიძულეს.

კარანტინი 7-ჯერ დაარღვია

ტაივანელი კაცი კარანტინის წესების დარღვევისთვის, 1 მილიონი ტაივანური დოლარით, (35,000 აშშ დოლარი) დააჯარიმეს. უცხოელი პირი ჩინეთში მივლინების იმყოფებოდა და ტაივანში დაბრუნების შემდეგ თვითზოლაციას საკუთარ სახლში გადიოდა. მათივე ინფორმაციით, კაცმა კარანტინის წესები 3 დღეში 7-ჯერ დაარღვია, წავიდა საყიდლებზე, მანქანის შესაკეთებლად და ა.შ. გავრცელებული ინფორმაციით, კაცი დანაშაულში მებრუნებლმა ამხილა.

ადგილობრივი მთავრობის განცხადებით, კაცი ტაივანში 21 იანვარს დაბრუნდა და კარანტინში 14 დღე უნდა გაეტარებინა.



ცილისნაგების ნარკვევა!..

ფუჭად დაკარგული დრო, ანუ ჯიში არა ჩუ...

ორი აზრი არ არის, რომ ამჟამად საქართველოში იდეოლოგიური ომია. ნამდვილი ომი. ოპოზიციური არხები – „გლავანალა“ მონათლული „მთავარი არხი“, „პირველი“, „ფორმულა“ დღედაღამ „ოცნების“ განქიქებასა და ტალახის სხმაში არიან. ტყუილების, ცილისწამების წარღვნა. ვილაცას თუ ფენი გადაუბრუნდა ან ელჩო, კისრის მოტეხაზე აღარფერს არ ვამბობ, ყველაფერი „ამჟამინდელი დამპალი სისტემის“ ბრალია. ოცნებასაც აქვს თავისი დამცველი არხები – „იმედი“, „მაესტრო“... „რუსთავი“ და „პალიტრა ნიუსი“ იქითაც არიან, აქეთაც, ცდილობენ მიუკერძოებლობის დაცვას.

რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ „საზოგადოებრივ არხს“, ის აშკარად იკრებს ძალებს და აკადემიური გადაცემებით გვიმედებს...

ცალკე უნდა ითქვას, რომ ღირსეულად არის ჩაბმული ამ იდეოლოგიურ ომში „პოსტივი“, რომელიც რეკლამის მხრივ ჯერჯერობით ღარიბად გამოიყურება, მაგრამ თანდათან სულ უფრო ბევრი ადამიანი უყურებს. ზემოხსენებულ ეგრეთ წოდებულ ოპოზიციურ, უფრო სწორად, აშკარად მავნე არხებს, რომ იტყვიან, ღინში ჩასდევს. ამ მხრივ გამოირჩევიან „მედიაარენტგენი“, „ბაჩო და გური“, „სამნი“, „ჟორჟოლიანის შოუ“.

ნამდვილად დასანანია, რომ

„მედიაარენტგენს“ სულ ხუთი წუთი აქვს დათმობილი და ოცი წუთი – მსმენელისთვის გაუგებარ ეგრეთ წოდებულ „ჯიში არა ჩუს“. გადაცემას უძღვება უდავოდ ნიჭიერი ვინმე ჯიში აბესაძე, მაგრამ ნამდვილად აბდაუბდა ლაპარაკი და „იმერულად“ მანჭვა-გრეხა საქმეს ვერ შევლის. მე ბევრი ვკითხე აზრი ამ გადაცემის თაობაზე, და თითქმის სუვევლამ ხელები გაშალა, ეგ მამაცხონებული ნამდვილად მასხარად იგდებს მაყურებელსაც და მსმენელსაც. შალვა რამიშვილისგან გაგვეკვირვებია, არ-



ნის დამფუძნებლისგან, სადა აქვს „პოსტივი“ ბალახტარობისთვის (ხალტურისთვის) ამდენი დასაკარგავი დრო ამ განია ომში?! დროა, ნამდვილად დროა, რომ ჯიშის მკაცრად არაც ვუთხრათ და ჩუუტს!..

მე ერთხელ უკვე ვწერდი ამის თაობაზე, მაგრამ ამაღო. „პოსტივის“ სტუდიაშიც ამაღო ეცდებით დარეკვას (281-00-88)...

გურამ ნიკოლაური

ბოტიჩელის ნახტი რეკორდულ ფასად გაიყიდა



ნიუ-იორკში გამართულ სოტბის აუქციონზე სანდრო ბოტიჩელის ნახტი არნახულ ფასად გაიყიდა. ფლორენციელი მხატვრის ტილო „ახალგაზრდა კაცი მუდლორით“ 1470-1480 წწ-ია შექმნილი.

აუქციონის ორგანიზატორები შიშობდნენ, რომ პანდემიისა და ეკონომიკური კრიზისის გამო მილიონები ხელმომჭირნენი იქნებოდნენ, მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა.

იტალიელი მხატვრის ნამუშევარში 92 მილიონი დოლარი გადაიხადეს. ასეთი სოლიდური თანხა ჯერ ბოტიჩელის შედევრებში არავის გადაუხდია.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს პერიოდით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიში: №GE19TB7601536020100009.
(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

მთავარი რედაქტორი

სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიაშვილი 599 53-76-16;

ალექს ასლანიშვილი 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24

გამომცემლობა: შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ 599 53-76-16; 599 36-00-35

შპს „თანამშრომელი“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორი“ ე. ბალდავანიძის №3

კოდონი ჰაუფი uac(უაკ)070.4(479.22) ს-323



ავტორთა სახურადლეოდ! რედაქციის მიერ შეუპოვებელი მასალა დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაქმულა, მუდამ არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომწოდებელი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 3 თებერვალს

საქ	უხსოვარი ვაჭარის ქარსი: აუზ დოლარი - 3.3026; აშშ - 4.0037; ბრიტანული პირაპირა სტერლინგი - 4.5196; 100 რუბლი - 4.3383; თურქული ლირა - 0.4504; აზერბაიჯანული მანათი - 1.9442; 1000 სომხური დრამი - 6.3726.
-----	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

აპინდი 1 თებერვლისთვის	აღმოსავალი საპროცენტო:
ბაზი -	ლამი -3, ლევ +14
მთიანი რაიონები -	ლამი -8, ლევ +13
დასავალი საპროცენტო:	
ბაზი -	ლამი +4, ლევ +21
მთიანი რაიონები -	ლამი -4, ლევ +15
თბილისი:	ლამი +2, ლევ +14

დაგვიკავით, მოგვწერით: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge